„დამტკიცებულია“

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
2025 წლის 26 აგვისტოს დადგენილება №41

პროფესიული განათლების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

ზუგდიდი

2025

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. შესავალი

1. პროფესიული განათლების მიმართულებით შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ეფუძნება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებს და სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში „უნივერსიტეტი“) შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს.
2. უნივერსიტეტის მიერ პროფესიული განათლების მიმართულებით განხორციელებული SWOT ანალიზით იდენტიფიცირებულია ძლიერი და სუსტი მხარეები, გაცნობიერებულია შესაძლებლობები და საფრთხეები. შესაბამისად, უნივერსიტეტი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და ეძებს გაუმჯობესების გზებს.
3. უნივერსიტეტში პროფესიული განათლების მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის შეფასება ხორციელდება წინამდებარე დოკუმენტით წარმოდგენილი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენებით, რაც მოიცავს ძირითადი და დამხმარე პროცესების უწყვეტ შეფასებას, ხარისხის შენარჩუნებას და განვითარებას.
4. უნივერსიტეტში მიმდინარე საქმიანობის ყველა პროცესში ხარისხის უზრუნველყოფა თითოეული პერსონალის (ადმინისტრაცია, მასწავლებელი) პასუხისმგებლობაა და ის ინტეგრირებულია საქმიანობის ყველა პროცესში. საქმიანობის ხარისხის შეფასებასა და უზრუნველყოფას უნივერსიტეტში ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

მუხლი 2. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა

1. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, პროფესიული სტუდენტებისა (შემდეგში „სტუდენტი“) და სხვა დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების საპასუხოდ და მათი კმაყოფილების მისაღწევად უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საქმიანობის ხარისხის მუდმივ შეფასებასა და განვითარებას ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების საშუალებით.
2. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“ (PDCA) ციკლის პრინციპით:

   ა) დაგეგმე (Plan): ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი იწყება შეფასებით, რის შედეგადაც ხდება არსებული ნაკლოვანებების აღმოჩენა და მათ აღმოსაფხვრელად საჭირო ნაბიჯების დაგეგმვა;

   ბ) განახორციელე (Do): შემდეგ ეტაპზე ხდება ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად დაგეგმილი ნაბიჯების გადადგმა, საჭირო ცვლილებების განხორციელება;

გ) შეამოწმე (Check): ხდება განხორციელებული ცვლილებების შედეგებზე დაკვირვება და შესაბამისად გამოყენებული მექანიზმების შეფასება;

დ) განავითარე (Act): შეფასების შედეგად მიღებული შედეგების საფუძველზე საჭირო ცვლილებების განხორციელება (გამოყენებული მექანიზმების, არსებული დოკუმენტების, შეფასების ინსტრუმენტების გადახედვა, საჭიროების შემთხვევაში განახლება და დამტკიცება პროცესის დახვეწის მიზნით).

3. PDCA ციკლის მიდგომის გამოყენებით პროცესების დაგეგმვისას ხდება საჭირო რესურსების გათვალისწინება, დგინდება პროცესის ადმინისტრირების პროცედურა, ასევე ხდება განსაზღვრა იმ შესაძლებლობების, რომელიც უზრუნველყოფს პროცესების გაუმჯობესებას საუკეთესო შედეგის მისაღწევად.
4. ხარისხის მართვა ხორციელდება შემდეგ ინსტრუმენტებზე დაყრდნობით:

   - ✓ პროცესების დაგეგმვა;
   - ✓ რისკების სისტემის შემუშავება და პროცესების მონიტორინგი;
   - ✓ პროცესების შეფასება და გაუმჯობესების მექანიზმების განსაზღვრა;
   - ✓ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის კონტროლი;
   - ✓ კვლევების ჩატარება.

5. ფორმალური, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პროცედურების გარდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იტოვებს უფლებას, მოახდინოს მოქნილი და პრევენციული რეაგირება იმ შემთხვევებშიც, როდესაც არ არსებობს დოკუმენტური მტკიცებულება, მაგრამ არსებობს ინდიკატორები პოტენციური პრობლემის შესახებ. ასეთი რეაგირება შეიძლება მოიცავდეს:
   - ✓ კონკრეტული მოდულის განხორციელების ფარგლებში მონიტორინგის გაძლიერებას (ლექციებზე დასწრების სიხშირე),
   - ✓ მასწავლებლისთვის ზოგადი მეთოდოლოგიური მხარდაჭერის შეთავაზებას (ინდივიდუალური კონსულტაცია, ტრენინგი),
   - ✓ სასწავლო ჯგუფში ზოგადი დისკუსიის წარმართვას სწავლებისა და შეფასების საუკეთესო პრაქტიკის შესახებ, კონკრეტული ინციდენტის ხსენების გარეშე.

მუხლი 3. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება შემდეგ ძირითად და დამხმარე მექანიზმებს:

ა) საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და განვითარება;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასება და მათი პროფესიული განვითარება;
გ) სასწავლო პროცესის შეფასება და გაუმჯობესება;
დ) საზოგადოების განვითარებაში შეტანილი წვლილის შეფასება და განვითარება;
ე) მართვის პროცესების შეფასება და განვითარება;
ვ) რესურსების შეფასება და ეფექტიანი გამოყენება;
ზ) სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაცია.

მუხლი 4. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები

1. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელნი არიან:

   ა) სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის საკოორდინაციო ჯგუფის ხელმძღვანელი;
   ბ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
   გ) პროფესიული პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი;
   დ) შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი;
   ე) ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
   ვ) სტრატეგიული დაგეგმარებისა და კვლევების ცენტრის უფროსი.

2. ხარისხის კულტურის დამკვიდრებისა და უზრუნველყოფის პროცესში ჩართულია უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეული და თანამშრომელი შესაბამისი პასუხისმგებლობის ფარგლებში.

მუხლი 5. ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები

ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმებია:

ა) სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგები;
ბ) გარე აუდიტის შედეგები.

თავი II. ძირითადი პროცესების ხარისხის უზრუნველყოფა

მუხლი 6. სტრატეგიული განვითარება

1. სტრატეგიული განვითარების ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება შემდეგ რეგულაციებსა და ინსტრუმენტებზე დაყრდნობით:

ა) უნივერსიტეტში პროფესიული განათლების მიმართულებით სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, ცვლილებების, დამტკიცების, გაზიარებისა და შეფასების მექანიზმები;
ბ) უნივერსიტეტის წლიური ანგარიში (ჩართული პირები, ვადები, ძირითადი საკითხების სამოქმედო გეგმის შესაბამისად შესრულების მდგომარეობა და სხვ.).

2. პროცესი ციკლური ხასიათისაა. მონაცემების პერიოდულად შეგროვებისა და შედეგების ანალიზის საფუძველზე ხორციელდება სტრატეგიული მიზნების/ამოცანების კორექტირება, ამოცანების დამატება (საჭიროების შესაბამისად), უნივერსიტეტში არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

მუხლი 7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება

პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება/გადამზადების პროგრამების განვითარება წარმოადგენს უწყვეტ, ციკლურ პროცესს, რომელიც რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებულ ეტაპს მოიცავს.

1. **დაგეგმვა და მიზანშეწონილობის დასაბუთება** პროცესი იწყება ახალი პროგრამის შექმნის ან არსებულის განახლების საჭიროების იდენტიფიცირებით. ეს ეტაპი მოიცავს შრომის ბაზრის კვლევას: დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზს, დაინტერესებულ პირთა გამოკითხვას და სხვა ფაქტორების გათვალისწინებას პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასასაბუთებლად.
2. **პროგრამის შემუშავება და დამტკიცება** დაგეგმვის ეტაპზე მიღებული მონაცემების საფუძველზე ხდება პროგრამის პრაქტიკული ფორმირება:
   ა) რესურსების მობილიზება: დუალური და კოოპერაციული პროგრამებისთვის პარტნიორ ორგანიზაციებთან ხელშეკრულებების ან მემორანდუმების გაფორმება, კვალიფიციური კადრების მოძიება და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მომზადება.
   ბ) პროგრამის ფორმალიზება: შემუშავებული ან განახლებული პროგრამის დამტკიცება უნივერსიტეტში მოქმედი შიდა რეგულაციების შესაბამისად.
3. **განხორციელების ხარისხის შეფასება და მონიტორინგი** პროგრამის დანერგვის შემდეგ იწყება მისი მუდმივი მონიტორინგისა და შეფასების ფაზა. ძირითადი ინსტრუმენტებია:

- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.
- ✓ მომზადება/გადამზადების პროგრამების შეფასება მათი განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტების მიხედვით.

- ✓ კვლევების ჩატარება სამიზნე ჯგუფებთან (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, მასწავლებლები, დამსაქმებლები).
- ✓ შეფასების სისტემის ვერიფიკაცია მონაცემთა სანდოობის უზრუნველსაყოფად.

4. **ანალიზი და პროგრამის მუდმივი განვითარება** მონიტორინგისა და შეფასების შედეგად შეგროვებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე იგეგმება მიზნობრივი ღონისძიებები და ხდება პროგრამების მუდმივი განვითარება (შინაარსობრივი, მეთოდოლოგიური, სტრუქტურული ცვლილებები).

მუხლი 8. სასწავლო პროცესის ორგანიზება და გაუმჯობესება

1. სასწავლო პროცესის ეფექტიანი ორგანიზება ეფუძნება უნივერსიტეტის მიერ დადგენილ რეგულაციებსა და ინსტრუმენტებს. ძირითადი კომპონენტებია:

   ა) დაგეგმვა და სტრუქტურირება: სასწავლო, კალენდარული გეგმების, კურიკულუმებისა და ცხრილების შემუშავება; ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების შესაძლებლობა.
   ბ) სტუდენტთა შეფასება: სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემის უზრუნველყოფა.
   გ) რესურსების მართვა: სასწავლო პროცესის საჭირო მასალითა და ნედლეულით შეუფერხებლად მომარაგება და ნარჩენების მართვის წესების დაცვა.

2. სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფა ციკლური ხასიათისაა და მოიცავს მონაცემთა პერიოდულ შეგროვებას, ფაქტობრივი პროცესის დაგეგმილთან შედარებას, საუკეთესო პრაქტიკისა და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებას და რესურსების მუდმივ შეფასებასა და დახვეწას.

მუხლი 9. პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერა და სერვისები

1. პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები ემსახურება მათი უფლებების დაცვასა და სასწავლო პროცესის გამართულ ორგანიზებას. ის მოიცავს შემდეგ პროცედურებს:

   ა) სტუდენტის სტატუსის მოპოვება, შეჩერება და შეწყვეტა;
   ბ) გარე და შიდა მობილობა;
   გ) კვალიფიკაციის მინიჭება და საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემა;
   დ) ფორმალური განათლების აღიარება;
   ე) სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა პროგრამის ცვლილების/გაუქმების შემთხვევაში;
   ვ) სტუდენტებთან ხელშეკრულებების გაფორმება;

ზ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება.

2. სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, სასწავლო პროცესის მართვასთან დაკავშირებული რეგულაციები ექვემდებარება პერიოდულ გადახედვასა და სრულყოფას.

თავი III. დამხმარე პროცესების ხარისხის უზრუნველყოფა

მუხლი 10. დამხმარე პროცესების შეფასება და განვითარება

1. უნივერსიტეტში მიმდინარე დამხმარე პროცესების შეფასება ეყრდნობა პროცესების მონიტორინგს და ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტების გამოკითხვის შედეგებს. პროცესი ციკლური ხასიათისაა და გამოვლენილი საჭიროებები მიეწოდება რექტორს შემდგომი რეაგირებისათვის.
2. უნივერსიტეტში მიმდინარე დამხმარე პროცესებია:

   ა) რეესტრის წარმოება;
   ბ) სტუდენტური სერვისები;
   გ) საბიბლიოთეკო სერვისები;
   დ) ფინანსური რესურსის მართვა;
   ე) ადამიანური რესურსების მართვა;
   ვ) მატერიალური რესურსის მართვა;
   ზ) უსაფრთხოება და წესრიგის დაცვა;
   თ) საზოგადოებასთან ურთიერთობები;
   ი) საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა);
   კ) პროფორიენტაცია და კარიერული განვითარება.

3. მართვის ეფექტიანობის მონიტორინგი და შეფასება რეგულირდება უნივერსიტეტის შესაბამისი დოკუმენტებით და მოიცავს სტრატეგიული გეგმების შესრულების მონიტორინგს, პერსონალის საქმიანობის შეფასებას, სერვისების ხარისხის გაუმჯობესებას, კვლევებსა და შიდა აუდიტს.

თავი IV. დასკვნითი დებულებები

მუხლი 11. დასკვნითი დებულება

1. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ძალაშია დამტკიცებისთანავე.
2. წინამდებარე დოკუმენტი ძალას კარგავს უნივერსიტეტის უფლებამოსილი ორგანოს მიერ ახალი რედაქციის დამტკიცებისთანავე.